

ზრდასრულთა სწავლების პრინციპები ენობრივ განათლებაში
ეროვნული თავდაცვის აკადემიაში

ნანა თორაძე

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე მაგისტრის აკადემიური ხარისხის
მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

განათლების ადმინისტრირება

სამეცნიერო ხელმძღვანელი: მაია ბიწაძე (ასოცირებული პროფესორი)

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
თბილისი, 2016

განაცხადი

”როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად”.

ნანა თორაძე

3 თებერვალი, 2016

სარჩევი

შესავალი.....	4
ლიტერატურის მიმოხილვა.....	10
კვლევის მეთოდოლოგია	17
კვლევის შედეგები	20
შედეგების ინტერპრეტაცია	30
დასკვნები და რეკომენდაციები	33
გამოყენებული ლიტერატურა	42

აბსტრაქტი

დღევანდელ დღეს, გლობალიზაციისა და სწრაფი ტექნოლოგიური განვითარების ეპოქაში, ადამიანების ყოველდღიური ცხოვრება ცვალებადია. იცვლება სამუშაო ბაზარზე არსებული მოთხოვნები და შესაბამისად ცხოვრების სტანდარტები. იმისათვის, რომ ადამიანმა ფეხი აუწყოს ცვალებად პირობებს, მას მრავალმხრივი განათლება და კომპეტენცია უნდა ჰქონდეს. ნებისმიერი ქვეყნის განვითარებაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი თავდაცვის სფეროს უჭირავს. შეიარაღებული ძალების როლი, არამხოლოდ სიმშვიდის შენარჩუნებაა, არამედ ქვეყნის საერთაშორისო დონეზე წარმოჩენა. შესაბამისად, სხვა ქვეყნებთან ურთიერთობისას, თავდაცვის სფეროში მოღვაწე სამხედრო მოსამსახურეებისა და სამოქალაქო პირებისათვის აუცილებელი ხდება შესამაბიმი ენობრივი კომპეტენციებით აღჭურვა. აღნიშნული როლი თავის თავზე საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ეროვნული თავდაცვის აკადემიის ენობრივი მომზადების სკოლას აქვს აღებული. ამ კვლევის მიზანია საქართველოს თავდაცვის სისტემაში ზრდასრულთათვის უცხო ენების სწავლების მიდგომების და მეთოდების მართებულობის განხილვა და შედგენილი კითხვარების მეშვეობით მასწავლებლების და მსმენელების მიერ პროგრამის ეფექტურობის შესწავლა და შეფასება. მიზნის მისაღწევად პირველ რიგში თეორიული კვლევა ჩატარდა. მოძიებულ იქნა ინფორმაცია თავდაცვის სამინისტროს როლზე ქვეყნის განვითარებაში, მის საგარეო პოლიტიკაზე, უცხო ენის ცოდნის აუცილებლობაზე და ეროვნული თავდაცვის აკადემიის ენობრივი მომზადების სკოლაში არსებული სწავლების მეთოდებზე. ინტენსიური სწავლების მეთოდისაზე, მის გამოყენების გამოცდილებასა და დადებით თუ უარყოფით მხარეებზე სხვადასხვა კვლევების გაცნობის შემდეგ, შემუშავებულ იქნა კითხვარი და ზემოაღნიშნულ სკოლაში ჩატარდა ინტერვიუები. მასწავლებლებთან და მსმენელებთან ჩატარებულმა კვლევამ დაადასტურა, რომ სკოლაში არსებული ინტენსიური სწავლების მეთოდი ეფექტური და შედეგიანია. ამის ერთ-ერთი მიზეზი

არის ის, რომ საქართველოს შეიარაღებულ ძალებში მომსახურე პირს მხოლოდ ერთხელ ეძლევა შესაძლებლობა გრძელი ვადით იქნას მივლინებული ენობრივი მომზადების სკოლაში უცხო ენის სასწავლებლად და აქედან გამომდინარე ასეთ შემთხვევაში ინტენსიური კურსი იდეალურად მიიჩნევა. ინტენსიური სწავლების მეთოდის აქტუალობა და შედეგიანობა სხვადასხვა არგუმენტით დამტკიცდა. განხილულ იქნა სწავლების ხარისხის განსაზღვრის საკითხი, უცხო ენების სწავლების მეთოდები, მოზარდთა და ზრდასრულთა სწავლების მეთოდებს შორის განსხვავებები, და უშუალოდ ინტენსიური სწავლების მეთოდი. სრული ინფორმაციის შეჯამების საფუძველზე კვლევამ დაადასტურა, რომ თავდაცვის სფეროში ზრდასრულთათვის უცხო ენის შესწავლის დროს მიზანშეწონილია ინტენსიური სწავლების მეთოდის გამოყენება.

ძირითადი საძიებო სიტყვები: თავდაცვა, ზრდასრულთა განათლება, ინგლისური ენა, ინტენსიური სწავლება.

Abstract

Present day globalization and fast technological advancements bring about changes in people's everyday lives at a very fast pace. Changes occur in Labor market demands as well that subsequently alter living standards. Rich and diversified knowledge, skills and experiences are necessary assets for individuals to be able to keep up with these changes and stay competitive. Defense capacity enhancement is a major task on any nation's development agenda. Armed forces not only guarantee peace sustainment, but also are the face of their country on the international arena, where their full engagement in cooperation with other nations is guaranteed only through successful communication. National Defense Academy Language Training School plays major role in attainment of this liaison by helping Armed forces' military and civilian personnel acquire necessary language competencies. This study aims to establish validity of methodologies and approaches of foreign language teaching to adults and to assess the course effectiveness through teacher and student surveys. For this purpose the research has been done to identify the role of the Ministry of Defense in the

development of the country in general and its foreign policy. Also, the studied material pertains to evaluation of the importance of speaking foreign language and assessment of Language Training School teaching practices including Intensive course study specifications and its advantages and disadvantages. Based on the studied material surveys have been conducted at school. Conducted research amongst the teachers and students has revealed, that the intensive method of language teaching at the Language Training School proved to be effective, productive and the most appropriate for the personnel of the Armed Forces of Georgia, because they are given the opportunity and privilege to attend a long-term language course at the LTS only once throughout their service time. Productiveness, purposefulness and appropriateness of the intensive method of language teaching has been verified by multiple arguments. Various issues like defining language teaching quality, methods of foreign language teaching, children-teenage-adult teaching differences, and particularly intensive method of foreign language teaching have been discussed. Therefore, after summing up the complete information the research stated that in the military foreign language teaching for adults is advisable to be delivered using intensive method of teaching.

Key words: Defense, Adult education, English language, Intensive training.